# ხელშეკრულება №12/12-01
# „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ"

გამარტივებული შესყიდვის საშუალება

თვითმმართველი ქალაქი ფოთი 12 დეკემბერი 2013 წელი

ერთის მხრივ, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი-თვითმმართველი ქალაქის-ფოთის ბავშვთა ცენტრი, დირექტორის კარლო კალანდაძის სახით (შემდგომში „დამკვეთი") და მეორეს მხრივ შპს „ელექტრონი" მისი ფოთის ფილიალის მენეჯერის მერაბ შუბითიძის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი") გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

„დამკვეთი" ავალებს და „მიმწოდებელი" იღებს ვალდებულებას მიაწოდოს თვითმმართველ ქალაქის-ფოთის ბავშვთა ცენტრს გენერატორის საჭირო ზეთი და კაბელი.

მისაწოდებელი საქონლის საერთო ღირებულება შეადგენს 117 (ას ჩვიდმეტი ლარი) ლარს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადებისა და სხვა ხარჯების ჩათვლით (შემდგომში „ხელშეკრულების ფასი".)

შენიშვნა: საქონლის შესყიდვა ხორციელდება გამარტივებული შესყიდვების საშუალებით (კლასიფიკატორის კოდები 09100000-20 ლარი: 31300000-97 ლარი).

წინამდებარე ხელშეკრულება ადასტურებს შემდეგს:

1. მოცემულ ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინები და გამოთქმები ატარებენ იმავე მნიშვნელობას, რაც აქვთ მათ მინიჭებული ხელშეკრულების პირობებში.
2. ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები ქმნიან მოცემულ ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს, კერძოდ:

- წინამდებარე ხელშეკრულება,

„დამკვეთი" იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს „მიმწოდებელს" „ხელშეკრულების ფასი" ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით.

ყოველივე ზემოთთქმულის დასტურად მხარეებმა გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

| "დამკვეთი" | მიმწოდებელი: |
|---|---|
| თვითმმართველი ქალაქის-ფოთის ბავშვთა ცენტრი | შპს „ელექტრონი" |
| მის: საქართველო, ქალაქი ფოთი, დავით აღმაშენებლის ქუჩა №12 | პროკრედიტ ბანკი |
| ს/კ №415084447 | GE22PC0133600100037372 |
| დირექტორი კარლო კალანდაძე | ფოთის ფილიალის მენეჯერი მერაბ შუბითიძე |

# ხელშეკრულების სპეციფიკური პირობები

## 1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი-თვითმმართველ ქალაქის-ფოთის ბავშვთა ცენტრი, დირექტორის კარლო კალანდაძის სახით (შემდგომში „დამკვეთი") და მეორეს მხრივ შპს „ელექტრონი" მისი ფოთის ფილიალის მენეჯერის მერაბ შუბითიძის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი") ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია ბიუჯეტის სახსრებით, თვითმმართველ ქალაქის-ფოთის ბავშვთა ცენტრის მიერ გენერატორისთვის ზეთისა და კაბელის შეძენა.

## 2. შესყიდვის ობიექტი

2.1. შესყიდვის ობიექტია - ბიუჯეტის სახსრებით, თვითმმართველ ქალაქის-ფოთის ბავშვთა ცენტრის მიერ გენერატორისთვის ზეთისა და კაბელის შეძენა

## 3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1. შესყიდვის ობიექტების ფასი განისაზღვრება – ლარებში.

3.2. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება **შეადგენს 117 ( ას ჩვიდმეტი ლარი) ლარს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადებისა და სხვა ხარჯების ჩათვლით** საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების ჩათვლით.

## 4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

4.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან

4.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის ( ელ ზედნადები და მიღება-ჩაბარების აქტი)

## 5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

## 5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

## 6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

6.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება – ლარებში.

6.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება – უნაღდო ანგარიშსწორებით (გადარიცხვით).

6.3. ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება შესყიდვის ობიექტის მიწოდების დღიდან 4.2. მუხლში მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენისთანავე,

6.4 ანაზღაურების ადგილია – თვითმმართველი ქალაქი ფოთი.

## 7. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

7.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

7.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

7.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

7.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

7.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,2%-ის ოდენობით.

## 8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

8.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2013 წლის 12 დეკემბრიდან 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

"დამკვეთი"

თვითმმართველი ქალაქის-ფოთის
ბავშვთა ცენტრი
მის: საქართველო, ქალაქი ფოთი, დავით აღმაშენებლის ქუჩა №12
ს/კ №415084447

დირექტორი კარლო კალანდაძე

მიმწოდებელი:

შპს „ელექტრონი"

პროკრედიტ ბანკი
GE22PC0133600100037372

ფოთის ფილიალის
მენეჯერი მერაბ შუბითიძე